

შპს ლევორი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2-3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4-5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6-7
განმარტებითი შენიშვნები	8-21

შპს ლევორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
ბრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,152,565	1,187,145
არამატერიალური აქტივი	5	5,977	5,969
		1,158,542	1,193,114
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	595,067	633,237
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	619,620	678,984
მარაგები	8	2,251,698	2,669,528
წინასწარ გაწეული ხარჯი	9	63,775	19,523
		3,530,160	4,001,272
მთლიანი აქტივები		4,688,702	5,194,386
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		71,108	71,108
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,544,751	4,978,113
		4,615,859	5,049,221
ვალდებულებები			
ბრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	10	43,566	39,399
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	9,460	26,263
საგადასახადო ვალდებულებები	12	19,818	79,503
		72,844	145,165
მთლიანი ვალდებულებები		72,844	145,165
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,688,702	5,194,386

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:

შპს ლევორი

ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,152,565	1,187,145
არამატერიალური აქტივი	5	5,977	5,969
		1,158,542	1,193,114
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	595,067	633,237
საქვარო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	619,620	678,984
მარაგები	8	2,251,698	2,669,528
წინასწარ გაწეული ხარჯი	9	63,775	19,523
		3,530,160	4,001,272
მთლიანი აქტივები		4,688,702	5,194,386
მთლიანი პაზიტალი			
საწესდებო კაპიტალი		71,108	71,108
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,544,751	4,978,113
		4,615,859	5,049,221
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრგელო	10	43,566	39,399
საქვარო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	9,460	26,263
საგადასახადო ვალდებულებები	12	19,818	79,503
		72,844	145,165
მთლიანი ვალდებულებები		72,844	145,165
მთლიანი პაზიტალი & ვალდებულებები		4,688,702	5,194,386

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:



შპს ლევორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2018
ამონაგები	13	5,635,943
თვითღირებულება		(3,727,611)
საერთო მოგება		1,908,332
სხვა შემოსავლები	14	15,143
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(364,410)
მიწოდების დანახარჯები		(387,787)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	6,154
სხვა ხარჯები	16	(28,475)
საოპერაციო მოგება		1,148,957
ფინანსური შემოსავალი	17	11,628
ფინანსური ხარჯი - წმინდა		11,628
მოგება დაბეგვრამდე	18	1,160,585
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		1,160,585
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,160,585

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:

შპს ლევორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2018
ამონაგები	13	5,635,943
თვითღირებულება		(3,727,611)
საერთო მოგება		1,908,332
სხვა შემოსავლები	14	15,143
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(364,410)
მიწოდების დანახარჯები		(387,787)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	6,154
სხვა ხარჯები	16	(28,475)
საოპერაციო მოგება		1,148,957
ფინანსური შემოსავალი	17	11,628
ფინანსური ხარჯი - წმინდა		11,628
მოგება დაბეგვრამდე	18	1,160,585
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		1,160,585
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,160,585

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:



შპს ლევორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	71,108	-	4,978,113	5,049,221
მოგება წლის ბოლოს			1,160,585	1,160,585
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,160,585	1,160,585
გაცემული დივიდენდი			(1,593,947)	(1,593,947)
აქციების გამოშვება	-			-
2018 წლის 31 დეკემბერი	71,108	-	4,544,751	4,615,859

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:

შპს ლევორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნარილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	71,108	-	4,978,113	5,049,221
მოგება წლის ბოლოს			1,160,585	1,160,585
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,160,585	1,160,585
გაცემული დივიდენდი			(1,593,947)	(1,593,947)
აქციების გამოშვება	-			-
2018 წლის 31 დეკემბერი	71,108	-	4,544,751	4,615,859

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:



შპს ლევორი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

1. ზოგადი ინფორმაცია

ლევორი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დავით ჯაბიძის ქ.15. მისი ძირითადი საქმიანობაა ჭურჭლის, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სათამაშოების რეალიზაცია.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2006 წლის 13 ივლისი.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - ლევან კვიჟინაძე

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი - ლევან კვიჟინაძე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის. დივიდენდის გამოცხადების თარიღში ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მოწყობილობა და აღჭურვილობა, ავეჯი და სატრანსპორტო საშუალება	20 პროცენტი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	იჯარის პერიოდზე

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და

ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების

ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება

შპს ლევორი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ

ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 25 რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

4. ძირითადი საშუალებები:

	მინა და შენობა ნაგებობები	მონწყობილობა და ალჭურვილობა	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იხარით აღებული ფართის კაპიტალიზაციის	მთლიანად
თვითღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	1,332,677	25,932	8362.5	58,704	19,168	1444844
შემოსავლა	-	2,886	7393.72	13,481	-	23760
გასვლა	-	-	-	-	10,233	10233
2018 წლის 31 დეკემბერი	1,332,677	28,817	15756.22	72,185	8,935	1458371
დაბრუნებული ცემთა და გაუფასურება						
2018 წლის 1 იანვარი	(205,690)	(18,463)	(5,461)	(20,983)	(7,102)	(257,699)
წლიური იცვითა	(36,249)	(1,832)	(2,059)	(10,104)	(701)	(50,946)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაფ	-	-	0	-	2,840	2839.66
2018 წლის 31 დეკემბერი	(241,939)	(20,296)	(7,520)	(31,087)	(4,963)	(305,806)
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	1,126,988	7,468	2,901	37,722	12,066	1,187,145
2018 წლის 31 დეკემბერი	1,090,738	8,522	8,236	41,098	3,971	1,152,565

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი
- კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით და გირავნობით

5. არამატერიალური აქტივები

	ინტელექტუალური საკუთრება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2017	2,034	8,765	10,799
შემოსვლა		1,045	1,045
გადაფასება			
გასვლა			-
31 დეკემბერი 2018	2,034	9,810	11,844
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2017	(710)	(4,120)	(4,830)
პერიოდის ცვეთა	(199)	(839)	(1,037)
გაუფასურება	-		
გასვლა	-		-
31 დეკემბერი 2018	(909)	(4,959)	(5,867)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2017	1,324	4,645	5,969
31 დეკემბერი 2018	1,125	4,851	5,977

- არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით.
- არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები

მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები

2018	2017
4,399	164,626
316,666	225,675
321,065	390,302

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2018	2017
274,002	242,935
274,002	242,935

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

გადახდილი ავანსები

2018	2017
534,709	502,108
84,911	176,876
619,620	678,984

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 18,758 ლარის ოდენობით.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მზა პროდუქცია

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2018	2017
2,246,654	2,667,957
5,044	1,571
2,251,698	2,669,528

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3,727,611 ლარი.
მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

9. წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

წინასწარ გაწეული სადაზღვევო ხარჯი

ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებადი გადასახადი

2018	2017
5,975	
57,800	19,523
63,775	19,523

10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

2018	2017
43,566	39,399
43,566	39,399

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო წარმოადგენს 2018 წლის დეკემბრის თვის დარიცხულ ხელფასს, რომელიც ანაზღაურდა 2019 წლის 25 იანვარს. (2017 წლის დეკემბრის თვის დარიცხულ ხელფასს, რომელიც ანაზღაურდა 2018 წლის 25 იანვარს)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

2018	2017
9,460	26,263
9,460	26,263

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

12. საგადასახადო ვალდებულებები

დამატებული ღირებულების გადასახადი

საშემოსავლო გადასახადი

ქონების გადასახადი

2018	2017
-	60,383
10,892	9,850
8,926	9,270
19,818	79,503

13. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

2018
5,635,943
5,635,943

14. სხვა შემოსავალი

არასაოპერაციო მოგება

2018
15,143
15,143

15. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2018
6,154
6,154

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

16. სხვა ხარჯები

ჯარიმები

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი

2018
(110)
(18,758)
(9,607)
(28,475)

17. ფინანსური შემოსავალი

საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი

2018
11,628
11,628

18. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

მიწოდების ხარჯი

სხვა ხარჯი

2018
(3,727,611)
(364,410)
(387,787)
(28,475)
(4,508,283)

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

19. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ორი მაღაზია. იჯარების საშუალო ვადა 5 წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს
აღიარებულია ხარჯად

2018
35,191
35,191

წლის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები.

საოპერაციო იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2018
35,191
147,802
-
182,993

20. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდები კაპიტალის ნაშთი შეადგენს 71,108 ლარს, რომელიც სრულად შევსებულია.

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

21. პირობითი ვალდებულებები

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 7 ივლისის ბრძანება N22961-ის თანახმად კომპანიას მოგების გადასახადის დეკლარაციებში გადასახდელი თანხის შემცირების გამო განესაზღვრა ჯარიმა 17321 ლარის ოდენობით. კომპანიამ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს წარუდგინა შესაგებელი, სადაც ნათლად არის დასაბუთებული ჯარიმის მოხსნის არგუმენტები. შემოსავლების სამსახურმა არ დააკმაყოფილა საწარმოს შესაგებელი, შესაბამისად კომპანიამ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში. კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის განმარტებით მინიმალურია შესაძლებლობა იმისა, რომ კომპანიას დაეკისროს აღნიშნული ჯარიმის გადახდა.

22. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2018
114,800
114,800

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს ლევორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

21. პირობითი ვალდებულებები

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 7 ივლისის ბრძანება N22961-ის თანახმად კომპანიას მოგების გადასახადის დეკლარაციებში გადასახდელი თანხის შემცირების გამო გაწესდა ჯარიმა 17321 ლარის ოდენობით. კომპანიამ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს წარუდგინა შესაგებელი, სადაც ნათლად არის დასაბუთებული ჯარიმის მოხსნის არგუმენტები. შემოსავლების სამსახურმა არ დააკმაყოფილა საწარმოს შესაგებელი, შესაბამისად კომპანიამ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში. კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის განმარტებით მინიმალურია შესაძლებლობა იმისა, რომ კომპანიას დაეკისროს აღნიშნული ჯარიმის გადახდა.

22. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2018
114,800
114,800

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი:

